მსოფლიო პრაქტიკა

სიახლეები

გამოქვეყნდა ევროპარლამენტის პოზიცია „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) აღსრულების დამატებითი წესების შესახებ

ევროპარლამენტის წევრები ევროკავშირის ფარგლებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების სივრცის შექმნაზე შეთანხმდნენ

„მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ“ (“EDPB”) 2024-2027 წლების სტრატეგიის დოკუმენტი დაამტკიცა

2024 წლის 18 აპრილს, „მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ“ (“EDPB”) პლენარულ სხდომაზე 2024-2027 წლების სტრატეგიის დოკუმენტი მიიღო.[1] მასში წარმოდგენილია საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები და შემდეგი მიმართულებები:

აპრილი 2024

- „ჰარმონიზაციის გაძლიერება და შესაბამისობის ხელშეწყობა“ (“Enhancing Harmonisation and Promoting Compliance”):

„მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ მიზანია, გააძლიეროს ძალისხმევა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის თანმიმდევრული გამოყენებისა და ეფექტიანი აღსრულების მიზნით. მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ხელშესაწყობად, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში საბჭო სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის შეიმუშავებს საინფორმაციო სახელმძღვანელო დოკუმენტებს. გარდა ამისა, საბჭო, ასევე, შეისწავლის და შეაფასებს სამართალდაცვითი მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომისა და დამუშავების კანონიერებას.

- აღსრულების ერთიანი კულტურის განმტკიცება და ეფექტიანი თანამშრომლობა (“Reinforcing a Common Enforcement Culture and Effective Cooperation”):

აღსრულების სფეროში თანამშრომლობა „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოსთვის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საბჭო განაგრძობს ე. წ. „ვენის განცხადებაში“[2] ჩამოყალიბებული ხედვის მხარდაჭერას და შემდგომ განავითარებს შესაბამის ინიციატივებს კოორდინირებული აღსრულების მექანიზმების, ერთგვაროვანი პროცედურული წესებისა და მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით.

- ციფრულ გარემოში მონაცემთა დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა (“Safeguarding Data Protection in the Developing Digital and Cross-Regulatory Landscape“):

ევროკავშირის კანონმდებლობისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების გათვალისწინებით, აღსანიშნავია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა ინტერდისციპლინურ და ურთიერთმფარავი რეგულირების („cross-regulatory“) კონტექსტში. საბჭო მიზნად ისახავს ციფრული სფეროს სხვა მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობას იმგვარ საკითხებზე, როგორიცაა: ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა დაცვის ევროპული სტრატეგია და ციფრული სერვისების პაკეტი. ამასთანავე, საბჭო მხარს უჭერს ახალი ტექნოლოგიებისადმი ფიზიკურ პირებზე ორიენტირებული მიდგომის პოპულარიზაციას.

- მონაცემთა დაცვის საკითხებზე სადისკუსიო პლატფორმის მხარდაჭერა გლობალური მასშტაბით (“Contributing to the Global Dialogue on Data Protection”):

მონაცემთა სუბიექტების უფლებათა ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად, „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭო“ მიზნად ისახავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე გლობალური სადისკუსიო პლატფორმების ხელშეწყობას. აღნიშნულში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ევროკავშირის წევრი და არაწევრი სახელმწიფოების მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა შორის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.

- „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭოს“ თავმჯდომარე — ანუ ტალუსი მიიჩნევს, რომ 2024-2027 წლების სტრატეგია, რომელიც ევროკავშირის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგია, პასუხობს მუდმივად განვითარებადი ციფრული გარემოსა და მონაცემთა დაცვის სფეროში არსებულ საჭიროებებს. „მონაცემთა დაცვის ევროპული საბჭო“ ყოველწლიურ ანგარიშში დეტალურად შეაფასებს სტრატეგიის სამოქმედო გეგმით მიღწეულ პროგრესს.

გამოქვეყნდა ევროპარლამენტის პოზიცია „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“GDPR”) აღსრულების დამატებითი წესების შესახებ

ევროპარლამენტმა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ აღსრულების მოქმედი წესის გასაუმჯობესებლად დამატებითი პროცედურული წესები მიიღო. პოზიციას მხარი დაუჭირა 329 პარლამენტარმა, წინააღმდეგი - 213, ხოლო თავი შეიკავა 79-მა.[1] ახალი წინადადება მიზნად ისახავს მონაცემთა დაცვის ეროვნულ საზედამხედველო ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, დავის გადაწყვეტის მექანიზმების დახვეწას და საქმის განხილვის მიზნებისთვის პროცედურული წესებისა და უფლებების ერთმანეთთან დაკავშირებას, რაც საბოლოოდ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მოთხოვნათა აღსრულების პროცესს მეტად ეფექტიანსა და გამჭვირვალეს გახდის.

წარდგენილი წინადადების მთავარი მიზანია მომჩივანთა უფლებებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს თანაბარ და მიუკერძოებელ მოპყრობას საჩივრის განხილვის პროცესში მონაწილე პირთა მიმართ, მიუხედავად იმისა, თუ რომელ საზედამხედველო ორგანოში იყო საჩივარი წარდგენილი. აგრეთვე, დაზუსტებულია მისი განხილვის პროცედურული წესების გამჭვირვალობის, მათ შორის, საქმის ერთობლივი მასალების ხელმისაწვდომობის საჭიროება. ეს საკითხი მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემის პროცედურებსაც უკავშირდება, რაც უზრუნველყოფს, რომ საზედამხედველო ორგანოებსა და მხარეებს ჰქონდეთ მყისიერი, შეუზღუდავი, ასევე, უწყვეტი წვდომა საქმესთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციაზე.

გარდა გამჭვირვალობისა და სამართლიანი განხილვის უფლებისა, დოკუმენტში აღნიშნულია ვადების საკითხიც, რომელიც მოიცავს ორკვირიან პერიოდს საჩივრის მიღების დადასტურებისთვის და სამკვირიან ვადას, რათა დადგინდეს, უკავშირდება თუ არა საქმე ტრანსსასაზღვრო გადაცემას, ხოლო შემდგომ ეტაპზე განისაზღვროს საჩივრის განმხილველი ორგანო. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების პროექტები უნდა მომზადდეს საჩივრის მიღებიდან ცხრა თვის განმავლობაში.

წინადადებაში აღნიშნულია, რომ დავის გადაწყვეტის ცალკეული მექანიზმის გამოყენება მოითხოვს მხარეთა მზაობასა და პასუხისმგებლობას, რათა უზრუნველყონ, რომ დავის გადაწყვეტის ამგვარი მექანიზმის გამოყენების შესახებ შეთანხმება ხელს არ შეუშლის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების მიერ საკითხის შესწავლას. მათ შორის აგრეთვე მოიაზრება სასამართლო დაცვის უფლება.

„მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ აღსრულების დამატებითი წესების შესახებ ევროპარლამენტის მიერ შემუშავებული დოკუმენტი რამდენიმე მიმართულებით განიხილავს ევროკავშირის კანონმდებლობის აღსრულების გაუმჯობესების საჭიროებას ევროკავშირში.

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ 2024-2025 წლისთვის ონლაინ სივრცეში არასრულწლოვანთა მონაცემთა დაცვის პრიორიტეტები განსაზღვრა

ონლაინ სივრცეში არასრულწლოვანთა მონაცემთა დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2021 წელს გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ არასრულწლოვანთა მონაცემთა დამუშავების კოდექსი შეიმუშავა, რომელიც ავალდებულებს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირებს: ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლებს, ვებგვერდების ადმინისტრატორებს, აპლიკაციებისა და თამაშების მოდერატორებს, რომ მონაცემთა დამუშავებისას პრიორიტეტულად მიიჩნიონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები და გააუმჯობესონ ავტომატური დამუშავების საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები.

არასრულწლოვანთა მონაცემთა დამუშავების კოდექსის საფუძველზე, გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ყოველწლიური პრიორიტეტული მიმართულებები განსაზღვრა და ბავშვთა პერსონალურ მონაცემის დამუშავების ერთგვაროვანი წესები დაამკვიდრა. მაგალითად, უკვე შესაძლებელია “Google”-ის საძიებო სისტემიდან შესაბამისი განცხადების საფუძველზე არასრულწლოვნის ფოტოსურათის წაშლა.

არასრულწლოვნების მონაცემების არაპროპორციული მოცულობით დამუშავების გამო, მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება კვლავ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს 2024-2025 წლის პრიორიტეტული მიმართულებები[1] ორიენტირებულია შემდეგ საკითხებზე:

- პროფაილინგის[2] მეშვეობით არასრულწლოვნის გეოლოკაციის დადგენის შეზღუდვა

არასრულწლოვნის ადგილმდებარეობის დადგენა პროფაილინგის მეშვეობით პოტენციურად გამოიწვევს მასთან დაკავშირებული ინფორმაციის არასასურველ დამუშავებასა და არასრულწლოვნის სხვადასხვა პიროვნული მახასიათებლის გადაჭარბებულ განსაზღვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროფაილინგის მეშვეობით არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება პირველად პარამეტრად არ უნდა იყოს მიჩნეული.

- არასრულწლოვნის მონაცემთა პროფაილინგი პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების მიზნით

საზედამხედველო ორგანოს განმარტებით, არასრულწლოვნისთვის შესაძლებელია, რთული აღქმადი იყოს მისი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავება. აღნიშნულმა შეიძლება, უარყოფითი გავლენა მოახდინოს ბავშვების ავტონომიაზე და შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ზიანი იმ შემთხვევაში, როდესაც ადეკვატური დაცვის გარეშე ხდება დამატებითი აპლიკაციების ან მომსახურებათა შესყიდვის რეკლამირება.

- არასრულწლოვანთა ინტერესებზე მორგებული შეთავაზებები

სოციალური მედიის ისევე, როგორც სხვადასხვა სოციალური კონტენტის გაზიარების ფუნქციონალის ალგორითმებში ხშირად გამოიყენება არასრულწლოვნის ქცევითი მახასიათებლები და ონლაინ ძიების შედეგები, რამაც შეიძლება, დააზიანოს არასრულწლოვნის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა. მათ შორის, წააქეზოს არასრულწლოვნის დამოკიდებულება კონკრეტულ პლატფორმაზე.

- 13 წლამდე ასაკის არასრულწლოვნების მონაცემების დამუშავება

გაერთიანებული სამეფოს „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ (“UK GDPR”) მე-8 მუხლის პირველი ქვეპუნქტის თანახმად, 13 წლამდე არასრულწლოვანს არ შეუძლია, გასცეს თანხმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე. გასათვალისწინებელია, რომ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითად რეგულაციაში“ (“GDPR”) ასაკობრივი ცენზი 16 წელია. შესაბამისად, რეკომენდებულია იმგვარი სისტემის შემუშავება, რომელიც ამოიცნობს 13 წლამდე ასაკის არასრულწლოვანს და უზრუნველყოფს მშობლის თანხმობის არსებობის დადასტურებას.

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს 2024-2025 წლების პრიორიტეტული მიმართულებები მიზანია, ხელი შეუწყოს ციფრულ სივრცეში არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისა და საზედამხედველო ორგანოს თანამშრომლობას წინასწარ განსაზღვრულ ძირითად საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიც, მსგავსად ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციისა“ (“GDPR”), სპეციალური ნორმით აწესრიგებს არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის გაცემის წესსა და პირობებს.[3] ეროვნული საკანონმდებლო სტანდარტის თანახმად, არასრულწლოვანის შესახებ მონაცემთა დამუშავება მისი თანხმობის საფუძველზე დასაშვებია, თუკი მან 16 წლის ასაკს მიაღწია.

სხვა შემთხვევაში კი არასრულწლოვნის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით განსაზღვრული გარემოებისა, მათ შორის, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის აუცილებელია 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვანისა და მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.[4] აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული ნორმის ერთგვაროვანი განმარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა გამოაქვეყნა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტი არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ[5], ასევე, სამსახურმა გამოაქვეყნა კვლევა სახელწოდებით „არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა - თეორია და პრაქტიკა“[6], რომელიც შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტისა და სამსახურის მიერ არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების კანონიერების შესწავლის შედეგად განზოგადებული პრაქტიკაზე დაყრდნობით.

ევროპარლამენტის წევრები ევროკავშირის ფარგლებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების სივრცის შექმნაზე შეთანხმდნენ

ევროპარლამენტის წევრებმა მხარი დაუჭირეს ევროკავშირის ფარგლებში „ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემთა სივრცის“ (“EU Health Data Space”)[1] შექმნის ინიციატივას. აღნიშნული პლატფორმა დაეხმარება ფიზიკურ პირებს ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მარტივად მიღებასა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, მათ უსაფრთხო გაზიარებაში.

სისტემის მეშვეობით, პაციენტებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ ელექტრონულად ჰქონდეთ წვდომა მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში იმყოფებიან. გარდა ამისა, პლატფორმა საშუალებას მისცემს სამედიცინო პერსონალს, პაციენტის თანხმობის შემთხვევაში, დაამუშავოს ბენეფიციარის სამედიცინო ჩანაწერები, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს მონაცემების უსაფრთხო გაზიარებას. ინიციატივის ფარგლებში ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერები მოიცავს ზოგად ინფორმაციას პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე, ექიმის მიერ გაცემულ დანიშნულებებს, სამედიცინო ხასიათის სურათებს (ექოსკოპია, რენტგენი, ა. შ.) და ლაბორატორიული კვლევის შედეგებს. გარდა ამისა, “EU Health Data Space” გააადვილებს ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას ევროკავშირის სხვა ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებებთან “MyHealth@EU” სისტემის გამოყენებით.

[1] ICO sets out Priorities to Protect Children's Privacy Online, <ico.org.uk> [24.04.2024].
[2] „პროფაილინგი“ – მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას; იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტი.
[3] იხ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.
[4] იქვე, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.
[5] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი: https://pdps.ge/ka/content/984/rekomendaciebi [29.04.2024].
[6] იხ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი: https://pdps.ge/ka/content/984/rekomendaciebi?page=3 [29.04.2024].

პლატფორმის მეშვეობით შესაძლებელი იქნება, მონაცემთა სუბიექტთა ანონიმურობის სრული დაცვით, სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევების მიზნებისთვის ჯანმრთელობის შესახებ ჩანაწერების, ასევე, გენეტიკური მონაცემების დამუშავება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს იშვიათი დაავადებების სამკურნალო საშუალებების შემუშავებას.
აღნიშნული ინიციატივის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია, რომ წევრ სახელმწიფოებს ჰქონდეთ სათანადო ინფრასტრუქტურა ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების გაცვლის მიზნით; ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს პაციენტის მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა; ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენელ პირებს გააჩნდეთ საჭირო უნარები და კვალიფიკაცია ახალი მიდგომების გამოსაყენებლად.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში კონფიდენციალობის დაცვის სათანადო გარანტიების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. მონაცემთა სუბიექტებს შეეძლებათ, უარი განაცხადონ სამედიცინო პერსონალისთვის მათ მონაცემებზე წვდომაზე, გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე პაციენტის სასიცოცხლო ინტერესებს შეეხება. მონაცემთა სუბიექტები, ასევე, ისარგებლებენ უფლებით, აკრძალონ პერსონალური მონაცემების შემდგომი დამუშავება კვლევითი მიზნებისათვის.
ზემოხსენებული ინიციატივის შესახებ შეთანხმების ევროპული საბჭოს მიერ ოფიციალურად დადასტურების შემდგომ, ინიციატივა ორი წლის შემდეგ განხორციელდება. აღნიშნული თანხვედრაშია ევროკავშირის მოქალაქეთა საჭიროებებთან, რომლებიც ასახულია „ევროპის მომავლის კონფერენციის დასკვნებში“ (“Conference of the Future of Europe”) და გულისხმობს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემთა სივრცის შექმნის, ასევე, ჯანდაცვის მომავლის ფორმირებაში ხელოვნური ინტელექტის მხარდაჭერას.